ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4440561

ნომერი: AR1670931

თარიღი : 26.03.2019

გაცემის თარიღი : 02.04.2019

გაცნობის თარიღი : 02.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი-გლდანის შემაერთებელ მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე., (ნაკვ.4/77) ; ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N142;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:
- შპს არტსტუდიო პროექტი კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

-ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : წარმოადგინეთ აღქმადი ფოტომონტაჟი, აღნიშნული გაითვალისწინეთ წარმოდგენილ მეორე მონტაჟთან მიმართებაში. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე_18 მუხლის მე_10 პუნქტის თანახმად : განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე.
-წარმოდგენილი ვიზუალით სამსახურს სარეკლამო აბრის განთავსება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, საჭიროა სარეკლამო აბრა განთავსდეს "ეგრედ წოდებული მენიუს" გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოადგინეთ მეტად სადა ალტერნატივა.
-განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია სს დეგუსტო ინტერნეიშენალი სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. შესაბამისად წარმოსადგენია სს დეგუსტო ინტერნეიშენალ -ის (იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა და ა.შ) ან რაიმე სხვა უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი საპროექტო ფართთან მიმართებაში (საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული) და საჭიროების შემთხვევაში მეიჯარის თანხმობა ასევე წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. გაითვალისწინეთ, რომ არ არის მისაღები შპს ლილო რენტალის თანხმობა ვინაიდან თანხმობის შინაარსიდან გამომდინარე მათ განუსაზღვრეს ადგილები აბრის განსათავსებადლ და შესაბამისად ფართი რაზეც სურთ აბრის განთავსება არის თუ არა მეიჯარესთან შეთანხმებული დაუდგენელია. აქედან გამომდინარე წარმოდგენილ იქნეს საჭიროების შემთხვევაში განახლებული თანხმობა ან ზოგადი შინაარსის ან კონკრეტული განცხადების ნომრის მითითებით. თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხებით სხვის სარგებლობაში არსებულ ფართესბ წარმოდგენილ იქნეს მათი თანხმობები თუ არ ეხებით განმარტეთ.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.